ხელშეკრულება № 19/02/14

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“, წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ნინო ნახუცრიშვილის** სახით (შემდგომ -„ცენტრი") და მეორე მხრივ **სსიპ „ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი“-ს** დირექტორის **ნადეჟდა მანჯავიძის** სახით (შემდგომ -„შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას კულტურული ღონისძიების ფარგლებში, „ცენტრის" მიერ 2016 წლის 22 თებერვალს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაგეგმილი კონცერტისთვის („საჩუქარი ქართველ მსმენელს“, რომელიც ეძღვნება კომპოზიტორ გია ყანჩელის 80 წლის იუბილეს), ქ. გორის ს. ცინცაძის სახ. სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ბავშვთა გუნდით მომსახურებაზე (CPV- 92312000).

1.2. „ცენტრი" თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაოს" შესრულებისათვის **1 250 (ერთი ათას ორას ორმოცდაათი)** ლარი.

1.3. 1.2. პუნქტში გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. (დაფინანსების წყარო- საკუთარი სახსრები)

1.4. 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული შესყიდვით, საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 10 მუხლის III პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის განკარგულება №98

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. „შემსრულებელმა” 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო” უნდა შეასრულოს ამ სფეროში არსებული ხარისხის ნორმებისა და „შემსრულებლის“ მოთხოვნების შესაბამისად.

2.2. სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენს „შემსრულებელი"

2.3. იმ შემთხვევაში თუ „შემსრულებლის" მიერ განხორციელებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების 1.1. და 2.1. პუნქტში ასახულ პირობებს, „ცენტრს" უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ან შეუმციროს საზღაური „შემსრულებელს" იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს შესრულებული სამუშაოს ღირებულებას.

3. ხელშეკრულების ვადა

3.1. „შემსრულებელმა" 1.1. პუნქტით გათვალისწინებული „სამუშაო" უნდა შეასრულოს 2016 წლის 22 თებერვალს.

3.2. „ცენტრის" მიერ „სამუშაოს" მიღება ხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

3.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2016 წლის 1 მაისამდე.

3.4. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით;
ბ) „ცენტრის" მიერ, „სამუშაოს" დასრულებამდე ნებისმიერ დროს;
გ) „შემსრულებლის" მიერ, როცა ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

3.5. იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება წყდება 3.4. პუნქტის „ბ"ქვეპუნქტის საფუძველზე „ცენტრი" ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსრულებელს" შესრულებული „სამუშაოს" ღირებულება.

3.6. როცა ხელშეკრულება წყდება „შემსრულებლის" მიერ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას „ცენტრი" მხოლოდ იმ შემთხვევაში აუნაზღაურებს „შემსრულებელს" შესრულებული „სამუშაოს" ღირებულებას, თუ იგი მიიღებს შესრულებას.

4. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

4.1. მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელიც სცილდება მხარეთა კონტროლს და რომლის მოქმედებაც არ არის დამოკიდებული ერთ-ერთი მხარის ნებაზე.

5.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

6. დავა

6.1. მხარეებს შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
6.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლო წესით.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „ცენტრი" უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის

დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „ცენტრის" მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ „ცენტრი" დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს დაწუნებულ მომსახურებაზე წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „შემსრულებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანასწორი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისათვის.

8.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

„ცენტრი"

სსიპ „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი"

მის.: თბილისი. ბარნოვის ქ. №54
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
მიმ. დას.-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TREGE22
ა/ა 7 0808 7162

გენერალური შეკვეთა

.. ..

ნინო ნახუცრიშვილი

„შემსრულებელი"

სსიპ „ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი "

მის.: ქ გორი. სამეფო ქ. №17
საიდენტ. კოდი 218083302
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა 708937519

დირექტორი

.. ..

ნადეჟდა მანჯავიძე